# ელექსირი

სიცოცხლისთვის

www.elixir.ge

# კატალოგი



## ჰიგიენა და ჯანმრთელობა

# ჩვენ შესახებ

„ელექსირი“ არის ქართული კომპანია, რომელიც ევროპული ტექნოლოგიით აწარმოებს საქართველოში, ევროკავშირსა და აშშ-ში სერტიფიცირებულ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებს.

2018 წლიდან ელექსირმა უზრუნველყო მთელი რიგი საერთაშორისო და ლოკალური ტესტების ჩატარება ადამიანების, მცენარეებისა და ცხოველების უმრავლესი დაავადებების გამომწვევ ბაქტერიებსა და ვირუსებზე. შედეგად ელექსირის დადგენილი წესით გამოყენებისას, ეფექტურობა გარანტირებულია.

"ელექსირი" გახლავთ ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ბიო პროდუქტი, რომელიც ბრენდის ქვეშ აერთიანებს პროდუქტებს სამი მიმართულებით: დეზინფექცია, აგრონომია და ვეტერინარია.

"ელექსირის" პროდუქტი შესაბამისობაშია ევროკავშირის რეგულაციებთან და უვნებელია ადამიანის, ცხოველისა და გარემოსათვის.

## კომპანიას მოპოვებული აქვს შემდეგი სერტიფიკატები

- ✓ ISO 9001 - ხარისხის მართვის სერტიფიკატი;
- ✓ ISO 14000 - გარემოზე ზემოქმედების უსაფრთხოება;
- ✓ ISO 22000 - სურსათის უვნებლობა;
- ✓ NSF-ის აშშ-ს უსაფრთხოების სერტიფიკატი;
- ✓ WIPO-ს მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრებისა და საპატენტო ორგანიზაციის საერთაშორისო აღიარება;
- ✓ ევროკავშირის ქიმიური სააგენტოს რეგისტრაცია;
- ✓ ევროკავშირის ბიო სერტიფიკატი;
- ✓ "ელექსირი" დეზინფექტანტების რეგისტრაცია გერმანიაში;
- ✓ "ელექსირი" უნივერსალური სადეზინფექციო საშუალება - სერტიფიკატი საფრანგეთში;
- ✓ "ელექსირი" უნივერსალური სადეზინფექცო საშუალების - სერტიფიკატი ესტონეთში;
- ✓ უკრაინის სადეზინფექციო სერტიფიკატები;
- ✓ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სადეზინფექციო სერტიფიკატი;
- ✓ ხარისხის ნიშანი;
- ✓ რეცენზია - ჰიგიენურ ტოქსიკოლოგიური კვლევის სერტფიკატი;
- ✓ სურსათის უვნებლობის სააგენტოს სერტიფიკატი ვაზისთვის;
- ✓ სურსათის უვნებლობის სააგენტოს სერტიფიკატი კარტოფილის და ჭარხლისთვის;
- ✓ სურსათის უვნებლობის სააგენტოს სერტიფიკატი სასათბურე კულტურებისთვის;
- ✓ სურსათის უვნებლობის სააგენტოს სერტიფიკატი ხილის, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურებისთვის;
- ✓ სურსათის უვნებლობის სააგენტოს სერტიფიკატი სიმინდის და თავთავიანი მარცვლეული კულტურებისთვის.

## კლიენტების პორტფოლიო



| მოცულობა | განზავება | ფასი |
|---|---|---|
| 250 მლ | მზა | 12,80 ₾ |

## სახის გამწმენდი ლოსიონი



| მოცულობა | განზავება | ფასი |
|---|---|---|
| 500 მლ | მზა | 11,80 ₾ |

## პირის ღრუს სავლები

### სახის გამწმენდი ლოსიონი „ელექსირი”

ელექტროაქტივირებული წყლის ბაზაზე დამზადებული „ელექსირის“ სახის გამწმენდი ლოსიონი გამოიყენება ყველა ტიპის კანისთვის. მასში შემავალი ნივთიერებები ასუფთავებს სახის კანს მაკიაჟის ნარჩენებისა და ჭუჭყისგან. იგი არის ჰიპოალერგიული, საღებავების, არომატიზატორების, ალკოჰოლის, საპნისა და პარაბენების გარეშე. აქვს ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

**თვისებები:**

- ✓ ასუფთავებს და ატენიანებს კანს;
- ✓ ხელს უწყობს სახის კანზე pH ბალანსის შენარჩუნებას;
- ✓ ეფექტურად აშორებს მაკიაჟის ნარჩენებს;
- ✓ არ ახშობს ფორებს;
- ✓ ებრძვის სახის კანზე ანთებით კერას, გამონაყარს და გაღიზიანებას.

გამოიყენება დილას და საღამოს თავის მოვლის რუტინის პროცედურაში, არ საჭიროებს ჩამობანას.

**შემადგენლობა:** NaCl – 0.04%, HOCl – 0.01%, ელექტროაქტივირებული წყალი ($H_2O$) – 99.95%.

### პირის ღრუს სავლები "ელექსირი"

არის ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული ეფექტის მქონე ხსნარი, რომელსაც გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, იგი ამცირებს გინგივიტის, პარადონტიტიტს და სტომატიტიტს განვითარების რისკს, ხელს უშლის კბილების მინანქარზე ნადების წარმოქმნას და უზრუნველყოფს სუნთქვის გაჯანსაღებას.

**თვისებები:**

- ✓ ებრძვის უსიამოვნო სუნს პირის ღრუდან;
- ✓ აქვს კბილების მათეთრებელი ეფექტი;
- ✓ გამორიჩევა ანთებისაწინააღმდეგო, ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული თვისებებით.

**შემადგენლობა:** NaCl – 0.02%, HOCl – 0.005%, ელექტროაქტივირებული წყალი ($H_2O$) – 99.975%.
მისი გამოყენება რეკომენდებულია ყოველდღიურად დღეში 2-ჯერ კბილების გახეხვის შემდეგ.



| მოცულობა | განზავება | ფასი |
|---|---|---|
| 30მლ | მზა | 7,80 ₾ |

## ცხვირის სპრეი



| მოცულობა | განზავება | ფასი |
|---|---|---|
| 100 მლ | მზა | 7,80 ₾ |

## ყელის სპრეი

### ცხვირის სპრეი „ელექსირი"

გამოიყენება, ალერგიული და ვირუსული რინიტის დროს, იგი არ იწვევს ცხვირის ლორწოვანი გარსის გამოშრობას, მასში შემავალი მიკროელემენტები აუმჯობესებენ მოციმციმე ეპითელიუმის ფუნქციას, ალერგიული და ვაზომოტორული რინიტების დროს „ელექსირი" ხელს უწყობს ცხვირის ლორწოვანადან ალერგენების ჩამორეცხვას და ადგილობრივი ანთებითი პროცესის შემცირებას. ჰიგიენური მიზნებით გამოყენებული „ელექსირის" ცხვირის სპრეი ხელს უწყობს ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის გასუფთავებას მასზე დალექილი ქუჩისა და ოთახის მტვერისაგან.

**გამოყენება და თვისებები:**

- ✓ გამორეცხავს ცხვირის ღრუდან ვირუსებს ბაქტერიებსა და ალერგენებს.
- ✓ ამცირებს ცხვირ-ხახის ლორწოვანის ანთებას, და ხელს უწყობს სუნთქვის აღდგენას.
- ✓ ახდენს ანთების საწინააღმდეგო და დამატენიანებელ მოქმედებას.
- ✓ აძლიერებს ადგილობრივ იმუნიტეტს.
- ✓ გამოიყენება ცხვირ ხახისა და ცხვირის ღრუს ყოველდღიური ჰიგიენისთვის.

**შემადგენლობა:** NaCl – 0.02%, HOCl – 0.005%, ელექტროაქტივირებული წყალი ($H_2O$) – 99.975%.

### ყელის სპრეი „ელექსირი"

ეფექტურად ებრძვის ყელის ტკივილს და გამოირჩევა დამცავი, ანტიმიკრობული ეფექტით. იგი ებრძვის უსიამოვნო სუნს, გააჩნია დამცავი და აღმდგენი ფუნქცია. ახდენის ყელის და ხახის დეზინფექციას და ებრძვის სხვადასხვა ვირუსის გამომწვევ მავნე ბაქტერიების.

**თვისებები:**

- ✓ ამსუბუქებს ყელის ტკივილს.
- ✓ ამსუბუქებს ხველით გამოწვეულ გაღიზიანებას.
- ✓ ხელს უწყობს გაღიზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენას.
- ✓ აქვს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი;
- ✓ ებრძვის უსიამოვნო სუნს.

**შემადგენლობა:** NaCl – 0.02%, HOCl – 0.005%, ელექტროაქტივირებული წყალი ($H_2O$) – 99.975%.

მისი გამოყენება შეიძლება ყოველდღიურად პროფილაქტიკური მიზნებისთვის და ასევე კომპლექსურად მკურნალობისთვის.



| მოცულობა | განზავება | ფასი |
|---|---|---|
| 100 მლ | მზა | 15,80 ₾ |

## ბიო დეოდორანტი

### ბიო დეოდორანტი „ელექსირი"

ებრძვის უსიამოვნო სუნს. განკუთვნილია ყველა ტიპის კანისთვის, მათ შორის მგრძნობიარე, ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული ფორმულის წყალობით, მყისიერად ანადგურებს უსიამოვნო სუნის გამომწვევ ბაქტერიებს და მატებს კანს სისუფთავის შეგრძნებას, სწრაფად შეიწოვება და არ ტოვებს თეთრ ლაქებს. მისი გამოყენება შეიძლება გაპარსვისა და დეპილაციის შემდეგ, არ აღიზიანებს კანს.

**თვისებები:**

უსიამოვნო სუნთან ბრძოლა;

დამატენიანებელი/სისუფთავის ეფექტი.

ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული მოქმედება.

**შემადგენლობა:** NaCl – 0.02%, HOCl – 0.005%, ელექტროაქტივირებული წყალი ($H_2O$) – 99.975%.

გამოიყენება ყოველდღიურად სუფთა და მშრალ კანზე.

**არ შეიცავს:** ალკოჰოლს, ალუმინის მარილს, ტრიკლოზანს, ბუტანო/პროპანის, პოლიეთილენგლიკოლს, პოლიპროპილენგლიკოს, ქიმიურ არომატიზატორებს და სუნის გამაძლიერებლებს.